ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციას შორის 2022 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ENI/2022/438-693 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერის მიმღები კომისიის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“ (შემდეგში „პროექტი“) ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერის მიღების კომისია (შემდგომში „კომისია“) არის საზოგადოებრივ საწყისზე შექმნილი კომისია, რომლის მიზანია ფინანსური მხარდაჭერის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება პროექტის ფარგლებში ჩატარებული შემდეგი კონკურსების დროს:

- მოსახლეობის სოციალური გააქტიურების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობის და დასაქმებისთვის.
- პროდუქტებისა და სერვისების აღდგენა/შენარჩუნება, რომლებიც წარმოადგენდნენ ტერიტორიის ისტორიულად მნიშვნელოვან აქტივებს.
- გადამუშავების, ადგილობრივი პროდუქციის შესათავაზებლად ტექნოლოგიებისა და სერვისების, გასაღების ახალი არხების შეთავაზებისთვის, მათ შორის IT ინსტრუმენტები, ახალი დიზაინი, შეფუთვა, ბაზრობები და გამოფენები.

2. კომისიის საქმიანობის საფუძველია პროექტის აღწერაში გაწერილი საფუძვლები და საქართველოს კანონმდებლობა.

მუხლი 2. კომისიის შემადგენლობა

1. კომისიის შემადგენლობა და შემადგენლობაში შემავალი ორგანიზაციების როლი ხმის მიცემის დროს განსაზღვრულია პროექტის აღწერაში.

2. კომისიის შემადგენლობაში შედიან შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლები:

ა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები

ბ. ა(ა)იპ მართვისა და განვითარების გადაწყვეტილებების ჰაბი

გ. იმერეთის რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატა.

3. კომისიის წევრები: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახური ხელმძღვანელი და „იმერეთის რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატის“ ხელმძღვანელი სარგებლობენ მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით.

მუხლი 3. კომისიის მუშაობის წესი

1. კომისიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც არის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი.

2. კომისიის სხდომების მომზადებას უზრუნველყოფს კომისიის სამდივნო.

3. კომისიის სამდივნოს ფუნქციას ახორციელებს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახური (საკონტაქტო პირი: ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის

ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ეკონომიკური განვითარებისა და ტრანსპრტის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ნათია კობახიძე; მობ: 514 00 48 00; ელ. ფოსტა: n.kobakhidze@kutaisi.gov.ge) .

4. კომისიის სხდომა, იმართება საჭიროებისამებრ. სხდომა შეიძლება გაიმართოს, როგორც ფიზიკურად, ისე ონლაინ, როგორც ამას კომისიის თავმჯდომარე მიიჩნევს.

5. კომისიის სხდომას იწვევს კომისიის თავმჯდომარე.

6. კომისიის მუშაობისათვის პირობებს უზრუნველყოფს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია.

7. კომისიის წევრები საქმიანობას ეწევიან ანაზღაურების გარეშე.

8. კომისიის წევრებმა უნდა დაიცვან მკაცრი კონფიდენციალურობა კონკურსებთან დაკავშირებულ ყველა ინფორმაციის, განხილვა და გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მის ოფიციალურად გავრცელებამდე.

9. კომისიის მუშაობის შესახებ ინფორმაციას და ანგარიშს ამზადებს კომისიის სამდივნო.

მუხლი 4 . კომისიის ფუნქციები

1. კომისიის ფუნქციაა:

ა. კონკურსში შემოსული განაცხადების შეფასება.

ბ. კონკურსში შემოსული განაცხადების შეფასების საფუძველზე გამარჯვებულების გამოვლენა პროექტის პირობების გათვალისწინებით.

მუხლი 5. კომისიის გადაწყვეტილების მიღების წესი

1. კომისიის გადაწყვეტილა მიიღება კომისიის სხდომაზე დამსწრეთა ხმის უფლების მქონე კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით. თანასწოროობის შემთხვევაში გადამწყვეტი ხმა აქვს თავმჯდომარეს.

2. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას, პროექტის მიხედვით, გადამწყვეტი ხმის უფლებით სარგებლობენ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის და ა(ა)იპ მართვისა და განვითარების გადაწყვეტილებების ჰაბის წარმომადგენელი კომისიის წევრები.

3. კომისიის იმ წევრს, რომელიც არ ეთანხმება უმრავლესობის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს თავისი მოსაზრება წერილობით დაურთოს კომისიის გადაწყვეტილებას.

მუხლი 6. დასკვნითი დებულება

1. კომისია მოქმედებს პროექტის ფარგლებში ბოლო მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის გაცემასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტამდე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერის მოვალეობის შემსრულებელი

დავით ერემეიშვილი